# 'TAKE A SEAT,WE ARE STARTING'







# NS PRODUCT

NS STUDIO 2013 წელს დაარსდა. თავდაპირველად მცირე არქიტექტურულ მოცულობებზე ვმუშაობდით, თუმცა ამავდროულად ავეჯისა და პროდუქტის დიზაინშიც ვატარებდით ექსპერიმენტებს. კომპანიის განვითარებასა და ზრდასთან ერთად ინტერიერის განსხვავებული ელემენტების შექმნა და პროდუქტის დიზაინი ჩვენი თითოეული პროექტის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ სფეროში თითქმის 10-წლიანი გამოცდილების დაგროვების შემდეგ მივიჩნიეთ, რომ უკვე მზად ვიყავით არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინის პრაქტიკის პარალელურად შეგვექმნა პროდუქტის დიზაინის ხაზი, რომელიც გაიზიარებდა სტუდიის ერთიან ფილოსოფიას, შეინარჩუნებდა ინდივიდუალიზმს და იქნებოდა დამოუკიდებელი პლატფორმა პროდუქტის დიზაინის იდეების გენერირებისთვის. NS PRODUCT-ის პირველი კოლექცია, ‘’TAKE A SEAT, WE ARE STARTING’’ ფუნქციურად და თემატურად განსხვავებულ პროდუქტებს აერთიანებს. თითოეული ნივთი და მათი ყოველი დეტალი ხელნაკეთია და საქართველოში დამზადებული.

NS STUDIO was founded in 2013. Initially, we worked on small-scale architectural projects. Meanwhile, we conducted experiments on furniture and product design. Along with expansion and development of our company, we gained a lot of experience of creating product design and various elements of interior, so this discipline became the essential component of each of our projects. After working in this field for almost ten years, we felt prepared to launch a product design practice that would run concurrently with architectural and interior design practices, share the studio’s unified philosophy, maintain individualism, and serve as an independent platform for generating product design ideas. The first collection of NS PRODUCT, “TAKE A SEAT, WE ARE STARTING”, contains thematically and functionally diverse products. Each item is hand-crafted in Georgia, as are all of their components.

# IAKAMI

საწარმო, რომელიც 1996 წლიდან ფუნქციონირებს, დღეს უკვე IAKAMI-ს სახელით არის ცნობილი. ავეჯისა და ხის კარ-ფანჯრის წარმოებაში მრავალწლიანი გამოცდილებით, დღეს იაკამი არაერთ საინტერესო და მასშტაბურ პროექტშია ჩართული. NS STUDIO-სთან კოლაბორაციით განხორციელებული მრავალი წარმატებული პროექტის შემდეგ, ქართული საწარმო იაკამი NS PRODUCT-ის პირველი კოლექციის მწარმოებელია.

Founded in 1996, Iakami is a manufacturing company involved in a variety of fascinating and significant projects. Because of its extensive experience of manufacturing furniture, wooden doors and windows, Iakami is one of the most prominent producers of quality interior design details. Following the completion of numerous successful projects in collaboration with NS STUDIO, Iakami is the executor of the first collection of NS PRODUCT.



# TAKE A SEAT, WE ARE STARTING / COLLECTION

კოლექციის შექმნის იდეა ერთ-ერთი ინტერიერის დიზაინის პროექტზე მუშაობისას გაჩნდა. თავდაპირველად მაგიდის სილუეტი შეიქმნა, რომლის მთავარი შთაგონება ქართული ისტორიული არქიტექტურის დეტალები გახდა. მაგიდის დიზაინის ესთეტიკა გახდა კოლექციის სხვა პროდუქტების დიზაინის შექმნის საფუძველი. ვფიქრობთ, რომ ფორმების სიმარტივე და თითოეული პროდუქტის ინდივიდუალიზმი მნახველებისთვის შთამაგონებელი იქნება და ნებისმიერ სივრცეს შესძენს მრავალფეროვნებას.

The concept of this collection arose while working on one of the interior design projects.The process began with creating a table silhouette, which was mostly influenced by the architectural splendor of Georgian historical structures. The aesthetics of the table design served as an inspiration for the formation of additional items in the collection. We believe that spectators will be inspired by the products' uniqueness and simplicity of form, which can add diversity to any space.







# ან / AN

კოლექციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია სკამი სახელად “ან”. სწორი და მრუდი ხაზებით შექმნილი, ერთი შეხედვით მკაცრი და სტატიკური სილუეტი, სხვადასხვა მასალით დამზადებისას სრულად იცვლის იერსახეს, რის გამოც მას სკამის ფუნქციის შესრულებასთან ერთად საინტერესო სკულპტურულ კომპონენტად ქცევისა და ინტერიერისთვის თავისებური ინდივიდუალიზმის მინიჭების პოტენციალი აქვს.

Chair called ”AN” is one of the most remarkable products of the collection. A seemingly rigid and static silhouette made of straight and curved lines drastically changes its appearance when produced with different materials, allowing it to serve not only as a chair for various spaces, but also as an intriguing, sculptural element and bring an odd originality to the decor.



# სან / SAN

სკამი “სან” “ან “- ის მაღალ ვარიაციად არის წარმოდგენილი. სწორედ თავისი სიმაღლის წყალობით, ნაცნობი ფორმა სრულად იცვლის სახეს და უჩველოდ მაღალი საზურგის გამო იქცევს ყურადღებას. ლითონის სარტყელის 2-კომპონენტიანი საზურგით შეკრული სკამი, ჩვენი აზრით, მის დაბალ ვერსიასთან შედარებით მეტად სკულპტურულია. ის ნებისმიერი ტიპის სივრცეში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე რამდენიმე „სან“-ით შექმნილ კომპოზიციაში, თვისობრივად ახალ გამოცდილებას გვთავაზობს. კოლექცია რამდენიმე დომინანტური მასალისგანაა დამზადებული, რომელთა შორისაც გვხვდება ნატურალური ხე, ლითონი, და დეკორატიული ნაჭრის დაფარვები.

“SAN” chair is presented as a high variation of “AN”. Its raised height radically alters the chair’s appearance, and the viewer’s attention is drawn to its exceptionally high back. From our perspective, a chair with a 2-component metal belt backrest is more sculptural than its shorter counterpart. “SAN” provides a genuinely different sensation in any kind of environment. Natural wood, metal accents, decorative elements, and fabric covers are among the collection’s more prominent materials. With a decorative coating that’s enriched with aluminum texture, the product can also be placed outdoors.













# რაე / RAE

სკამების მრუდხაზოვან სილუეტს იმეორებს სასადილო მაგიდის მასიური ხის ფეხები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია უჟანგავი ლითონისგან დამზადებული ცილინდრის ფორმის მილებით. კონტრასტისა და ვიზუალური სიმსუბუქისთვის, ზედაპირის მასალად გამოყენებულია გამჭვირვალე შუშა. კოლექციაში ამავე სახელწოდებითაა წარმოდგენილი ბენჩი “რაე”. მაგიდის ძირითად ფორმებთან მსგავსების მიუხედავად, გადავწყვიტეთ მთლიანობაში უფრო მასიური მოცულობის შექმნა, რისთვისაც ბენჩის ზედაპირისა და ფეხების მასალად თიხისფერი დეკორატიული დაფარვა შევარჩიეთ. ეს ვერსია გარე გამოყენებისთვისაცაა განკუთვნილი.

The substantial oak legs of the dining table, which are joined together by cylinder-shaped stainless-steel pipes, replicate the chairs’ curving profile. To add contrast and visual lightness to the table, transparent glass is used as the surface material. We presented a bench under the same title - “RAE”. Despite the resemblance of the basic outlines, we wanted to make this volume more substantial as a whole, so we used a decorative coating in the clay color for the long chair’s surface and legs. This product can also be placed outside.



# სკირა X აზურიტი / SKIRA X AZURITE

ამ კონკრეტული პროდუქტის შექმნა, ასევე ერთ-ერთ ინტერიერის დიზაინის პროექტზე მუშაობამ განაპირობა. საჭირო იყო სივრცის საინტერესო, ნაწილობრივ გამჭოლი, თუმცა ამავდროულად მარტივი გამყოფის მოფიქრება. ასე გაჩნდა იდეა, დამუშავდა პროექტი, შეირჩა მასალა, რომელიც ამ კონკრეტული ფუნქციით ჯერ არავის გამოუყენებია და შედგა კოლაბორაცია. გეომეტრიული ფორმების სიმეტრიული ან ასიმეტრიული წყობით, ფუნქციური და ამავდროულად დეკორატიული ლითონის ელემენტებისა და გადამუშავებული დაპრესილი ქაღალდის ერთობლიობით მივიღეთ „სკირა“ - ფარდა, რომლის გამოყენება ასევე კედლის დეკორაციად და უნიკალური ფონის შესაქმნელადაა შესაძლებელი.
“სკირას” თითოეული ელემენტი განსხვავდება ფერითა და ფაქტურით, რაც კიდევ უფრო მეტ ინდივიდუალიზმს სძენს მისი გამოყენებით შექმნილ თითოეულ კომპოზიციას.

orking on a certain interior design project influenced the process of creating this product. We had to come up with a creative, yet straightforward space separator that was both fascinating and partially permeable. That’s how the idea was born, and the material that had never been used for this specific purpose before, was chosen. We created “SKIRA” by combining a set of geometric shapes that might be symmetrical or asymmetrical, recycled pressed paper, and both ornamental and practical metal pieces. In a sense, “SKIRA” is a curtain which can be used as a decorative element on walls and also as a backdrop. With its distinct color and texture, each element adds even more individuality to each composition where it’s featured.











# გობი / GOBI

ვფიქრობთ, გობი სახლის ის აქსესუარია, რომელიც ყველა ტიპის ინტერიერისთვის როგორც დეკორატიული, ასევე ფუნქციური დატვირთვის მქონე ელემენტია. ერთი მასიური ხის დეტალისგან გამოჩარხული წრიული სილუეტი, თავისი ბუნებრივი დაფარვითა და ფაქტურით მნახველისთვის თითქოს პოზიტიური განწყობის მატარებელია. მის ცენტრში განთავსებული ლითონის უხეშად გაპრიალებული სფერო მის ირგვლივ გარემოს ირეკლავს და ამა თუ იმ სივრცის სკულპტურული და ქმედითი ელემენტი ხდება.

The Gobi is an attractive and practical accent for all interior design styles. With its raw, unrefined covering and texture, a circular silhouette carved from a single, large wooden component uplifts viewers' spirits. A metal sphere with a rough finish has been positioned in the center of the structure. This allows the metal sphere to reflect its surroundings and transform into both a sculptural and useful aspect of the room.



# დო - რე - მი . . . / DECOR

"დო-რე-მი" - 12 ხელნახატი ფიგურა კოლექციის ყველაზე პატარა და, ამავდროულად, ყველაზე დატვირთული მონაწილეები არიან. თითოეული მათგანი გამორჩეულია იერსახით, ჩაცმულობით, განწყობითა და სახელით. ქალ ფიგურებს ზიზი, ჟუჟუ, რიმა, ნაზი, ლოლა და ვანდა ჰქვიათ, ხოლო მამაკაცებს როინი, ჭიჭიკო, ბუდუ, კუკური, სესე და ესტატე. მათი სამოსის ორნამენტები შთაგონებულია ძველ ქართულ ტექსტილზე გამოსახული ფორმებითა და ფერებით, თუმცა მოდიფიცირებულია და მორგებული თითოეული მათგანის სახელსა და იერსახეზე.

"Do-Re-Mi" – 12 hand painted figures are the smallest and the most substantial members of the collection. Each of them can be identified by their individual names, clothing, mood, and outward look. Zizi, Zhuzhu, Rima, Nazi, Lola, and Wanda make up the women's team. Roin, Chichiko, Budu, Kukuri, Sese, and Estate are among the male team. Their clothing's embellishments are modeled after the patterns and colors seen on antique Georgian fabrics, but they have been updated and tailored to fit the names and physical characteristics of each individual.


ლოლა
ნაზი
ზიზი
ვანდა
რიმა
ჟუჟუ
კუკური
ჭიჭიკო
ესტატე
სესე
ბუდუ
როინ











Bazaleti str. 3
0322 64 42 44
info@nsproduct.ge
nsproduct.ge

Photo: Louisa Chalatashvili / Tve.studio